ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №245187

ნომერი: AR163459

თარიღი : 03.07.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 09.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი მუხიანისკენ , მიმავალ გზაზე , ავტოსატრანსპორტო საწარმოს , მიმდებარედ (ნაკვ. 2/67) ; ქალაქი თბილისი , გლდანი-მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ, (ნაკვ. N2/68) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ძიძიშვილი პ/ნ 01024015484
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 2 ბ. 68

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს."ქროსი" კოდი: 204573611

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში მდებარე ორ მიწის ნაკვეთზე მოქმედი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დადგენას და ასევე გაინტერესებთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს შორის გამავალ კოლექტორთან მიმართებაში არსებული შეზღუდვის შესახებ, გაცნობებთ, შემდეგს;

#01.11.13.002.067 მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მოქცეულია ორ ფუნქციურ ზონაში: საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) და საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1–ში (სსზ–1), რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები (იხ. დანართი):

საცხოვრებელი ზონა 3–სთვის:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 1,5;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2.

საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1–სთვის:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 3,5;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

#01.11.13.002.068 მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მოქცეულია ასევე ორ ფუნქციურ ზონაში: საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) და საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2–ში (სსზ–2) (იხ. დანართი).

საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2–ში მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 4,6;
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საცხოვრებელი ზონა 3-ში (სზ-3) განაშენიანების დომინირებული სახეობაა საცხოვრებელი სახლები; საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) არის საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, მათ შორის კარკასი განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა); ხოლო საზოგადოებრივ–საქმიანი ზოან 2 (სსზ–2) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასს სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა; (იხ. დანართი).

თქვენს განაცხადში დამატებით დაფიქსირებულ კითხვაზე, კოლექტორის მიმდებარედ არსებული გასხვისების ზონის შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნულის გასარკვევათ უნდა მიმართოთ შესაბამის სამსახურს ან მფლობელს, რომლის ბალანსზეც იმყოფება მითითებული კომუნიკაცია.

დანართი 5 ფურცელი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.